EAST EUROPEAN UNIVERSITY

2019-2020 წლების ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგების შესახებ

შინაარსი

1. შესავალი
2. 2019-2020 წელს ხარისხის მექანიზმების გამოყენების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსაუხრის მიერ განსაზღვრული ძირითადი რეკომენდაციები
3. 2019-2020 აკადემიური წლის ძირითადი მიღწევები
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა
5. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება
6. პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგებზე უკუკავშირი
7. კვლევითი საქმიანობის შეფასება;
8. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების შეფასება
9. მომავლის ხედვები და შემაჯამებელი რეკომენდაციები
10. 2019-2020 აკადემიურ წელს განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების დეტალური ანგარიში
11. დანართები

შესავალი

წარმოგიდგენთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშს, რომელიც ასახავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში 2019-2020 აკადემიური წლის საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იმპლემენტაციის შედეგებს, მასზე დაფუძნებით იდენტიფიცირებულ ძირითად მიღწევებს და გასაუმჯობესებელ საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინსტიტუციური, პროფესიული და ორგანიზაციული გაძლიერების მიმართულებებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იმპლემენტაცია წარიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნების ფარგლებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევის მხარდაჭერას, ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების უნივერსიტეტში დანერგვის გზით, რისთვისაც უნივერსიტეტში განსაზრვრულია ხარისხის სტანდარტები, უზრუნველყოფილია ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით ხარისხის გაუმჯობესება.

ასევე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დაინერგა განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ფოკუსირებულია დააკმაყოფილოს სტუდენტებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და მოლოდინები. განახლებულმა სისტემამ და მექანიზმებმა უნივერსიტეტს მეტი შესაძლებლობა მისცა გაუმჯობესებაზე მიმართული მექანიზმების გამოყენებით, ორიენტირებული იყოს სტუდენტების, პერსონალის

თუ სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებაზე და უზრუნველყოფს, რომ შეთავზებული მომსახურება შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს.

აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საპასუხოდ და მათი კმაყოფილების მისაღწევად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და განვითარებას ყველა მიმართულებით - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლა-სწავლება, სერვისები, რესურსები, ინტერნაციონალიზაცია, კვლევა, მართვა, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი კონტრიბუცია, საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირება. რის შედეგად უფრო მეტი ძალისხმევა იქნა მიმართული არა მხოლოდ იმპლემენტაციის პროცედურებზე, არამედ შედეგების ეფექტიანობაზე.

აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მიღწეული შედეგების განმტკიცებასა და გაუმჯობესებაზე, ინსტიტუციური სარგებლის მოტანაზე და პირდაპირ ეხმიანება უნივერსიტეტის მისწარფებას მიაღწიოს მდგრად წარმატებას.

უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საგანმანათლებლო საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. აღნიშნული შეფასებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის თვისობრივ გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, როგორც უნივერსიტეტში ხარისხის მენეჯმენტსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი რგოლის, ძირითადი შედეგი გამოიხატება გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის პროაქტიული მიდგომით, ასევე პროცესებში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, პერსონალი, კუსრდამთვერებულები, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები) აქტიური ჩართულობის შედეგად, რეკომენდაციების შესრულება მნიშვენლოვნად გაუმჯობესდა. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ გაიზარდა სამსახურის მიერ გაცემული სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი.

წინამდებარე ანგარიშში მოყვანილია გაცემული რეკომენდაციების შესრულებით მიღებული პოზიტიური შედეგის არაერთი წარმატებული მაგალითი. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია მიღწეულ იქნეს რეკომენდაციების შესრულების კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი, რისთვისაც აქტიურად მიმდინარეობს პროცესების

ავტომატიზაციის პლატფორმების დანერგვა და სამსახური მუშაობს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე.

სისტემა საშუალებას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ზედამხედველობა გაუწიოს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა ძირითად პროცეს და გაზარდოს მისი ეფექტიანობა რეკომენდაციების შესრულების მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის წარმატებასა და განხორციელებული შეფასებების მაღალ ხარისხზე მიუთითებს საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციის მიზნით განხორციელებული გარე შეფასების დადებითი შედეგები-წარმატებით გავლილი აკრედიტაციის პროცესები, ასევე შიდა კვლევების შედეგები, რითაც დასტურდება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობით, ასევე სამსახურის საქმიანობით კმაყოფილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევა მიმართულია, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი გუნდის უნარების მუდმივ განვითარებასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ხოლო სამსახურის საქმიანობა სანდო, ხარისხიანი და ეფექტიანი!

2019-2020 წელს ხარისხის მექანიზმების გამოყენების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული ძირითადი რეკომენდაციები

2019-2020 წელს ხარისხის მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზზე დაფუძნებით, სამსახურმა განსაზღვრა რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებებით:

- საგანმანათლებლო პროგრამებში, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ, ასევე არსებულ დამსაქმებლებთან თანამშორმლობის განვითარების და ახალი დამსაქმებლების მოძიების შესახებ;
- საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების განვითარების შესახებ;
- პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვისა და მათი შემდგომი დახვეწის მიზნით კურიკულუმის რუკების შემუშავების შესახებ უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამისათვის.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლის შედეგებთან და კურიკულუმის რუკებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარების შესახებ.
- პროგრამებში სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით პროგრამების განხორციელების პროცესში მაღალკვალიფიციური უცხოელი პერსონალის ჩართვის შესახებ;
- სტუდენტთა შეფასებისას უკუკავშირის მექანიზმების დახვეწის შესახებ;
- სტუდენტთა პროფესიონალური ქცევისა და ეთიკის განვითარებაზე ყურადღების გაძლიერებისა და მათთვის სხვადასხვა ტრენინგებისა თუ ღონისძიების, ასევე პლაგიატზე ცნობადობის ამაღლებისთვის მიმართულ სემინარები/ტრენინგები/ღონისძიებების შეთავაზების შესახებ;
- სასწავლო რესურსების განვითარების, ასევე ინტენსიური ტრენინგებისა და კონსულტაციების შეთავზების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან, ასევე შიდა ბაზებთან მუშაობასთან დაკავშირებით, ასვე ელექტრონული სასწავლო ბაზის განვითარების შესახებ;
- უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის გადაეხდვის პერსონალის შეფასების მექანიზმების განვითარების შესახებ
- უნივერისტეტის ბრენდინგის გასაძლიერებლად შესაბამისი სტრატეგიების და მიდგომების განახლებისა და განვითარების შესახებ
- უნივერსიტეტის შემდგომი ინსტიტუციური და კორპორატიული განვითარების მიზნით, ასევე ხარისხის კულტურის თანმიმდევრულად დანრეგვის მიზნით, უნივერსიტეტის იმ დროს არსებული არესებული სტრუქტურის და სტრუქტურული ერთეულების ანალიზის და მის შედეგებზე დაფუძნებით შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების განხოციელბის შესახებ;
- შიდა კომუნიკაციის სისტემის განვითარების შესახებ;
- სერვისების განამახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის როლის და რესურსების გაზრდის შესახებ.

2019-2020 აკადემიური წლის ძირითადი მიღწევები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ✓ განახლდა უნივერისტეტში არსებული ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შინაარსი;
- ✓ გადაიხედა და განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამები და გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი;
- ✓ დაინერგა საგანმანათელო პროგრამის შიდა ყოველწლიური ანაგარიშების წარმოება;
- ✓ დაინერგა სტრუქტურული ერთეულების მიერ ანგარიშების წარმოების პროცედურა;
- ✓ შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო პროგრამის განმახოციელებელი პერსონალისათვის;
- ✓ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები პროგრამის განმახოციელებელი პერსონალისთვის;
- ✓ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ტრენინგები ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- ✓ ჩატარდა ინდივიდაულური შევხედრები ყველა სტრუქტუტურულ ერთეულებთან;
- ✓ შემუშავებული და დანერგილი იქნა პროგრამის ინიცირების და რეაკრედიტაციის პროცედურა;
- ✓ შემუშავებული და დანერგილ იქნა უკუკავშირის პროცედურა;
- ✓ უნივერისტეტმა საანაგრიშო პერიოდში 6 პროგრამის რეაკრედიტაცია უზრუნველყო, ორი პროგრამა რეაკრედიტაციაზეა წარდგენილი. ასევე მიმდინარეობს შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი ახალი პროგრამების ინიცირების კონტექსტში.
- ✓ შემუშავებულ იქნა სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების ერთიანი ხედვა, ხოლო მასზე დაფუძნებით მიმდინარეობს სწავლა-სწავლების ხარისხის სტრატეგიის შემუშავების პროცესი პარტნიორ მიდლსექსის უნივერსიტეტის მკვლევარებთან ერთად.
- ✓ სამსახურის ჩართულობით შესაბმის სტრქუტურ ერთეულებთან ერთად დაინერგა აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება.
- ✓ წლიური ანგარიშებზე დაფუძნებით სამსახურის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და მოსაზრებები გადაეცა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფს რომელმაც დაამუშავვა და უზრზუნველყო სამოქმედო გეგმაშ შესაბამისი ჩარევების განხოციელება/განახლება;
- ✓ განახლდა ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება და ასევე სამუშაო აღწერილობები.
- ✓ სამსახურის ჩართულობით შესაბმის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად დაინერგა აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით შემუშავებული იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ✓ სამსაუხურის კოორდინაციით გადაიხედა და განახლდა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტში სწავლა სწავლების ხარისხის კონცეფციის ძირითადი ასპექტები.
- ✓ გადაიხედა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და ინსტრუმენტები.
- ✓ დაზუსტდა მისია და ხედვა; განისაზღვრა უნივერსიტეტის ღირებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა

EEU-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე, რომელიც მიიღწევა უნივერისტეტში დადგენილი სტანდარტების თანმიმდევრული რეალიზებით, ინსტიტუციაში მიმდიანრე ყველა პროცესის სტანდარტებთან თავსებადობის შეფასებითა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით ყოველგვარი შუსაბამობების აღმოფხვრითა და შედეგების მუდმივად გაუმჯობესებით.

EEU ხარისხის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს **მექანიზმებს,** რომლის გამოყნებითაც ადგენს: **დაცულია თუ არა დადგენილი სტანდარტები და მიღწეულია თუ არა საუკეთესო შედეგი.**

EEU - ში ხარისხი უზრუნველყოფის მექანიზმები შიდა და გარე შეფასების მექანიზმების სახით არის წარმოდგენილი.

EEU - ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფარავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა საკვანძო მიმართულებასა და პროცესს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- **საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება;**
- **სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება;**
- **სერვისების შეფასება;**
- **მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება;**
- **პერსონალის (კადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) შეფასება;**
- **საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება;**
- **კვლევითი საქმიანობის შეფასება;**

- ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებია:

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციური ან/და პროგრამების გარე განმავითარებელი შეფასების შედეგები;
- საერთაშორისო ინსტიტუციური ან/და პროგრამული აკრედიტაციის შედეგები;
- ფინანსური აუდიტის შედეგები.

EEU-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება ხდება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტებითა და დადგენილი პროცედურებით, რომელიც დაფუძნებულია **PDCA მუდმივი შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე.**

PDCA ციკლის მიდგომის გამოყენებით პროცესების დაგეგმვისას ხდება საჭირო რესურსების გათვალისწინება, დგინდება პროცესის ადმინისტრირების პროცედურა, ასევე ხდება განსაზღვრა იმ შესაძლებლობების, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების გაუმჯობესებას საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

EEU- ში PDCA ციკლი გამოიყენება, როგორც ინსტიტუცის მართვის სისტემურ დონეზე, ასევე უნივერსიტეტში განსახორციელებული ნებისმიერი პროცესისა და ქმდებების სამართავად.

1.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მექანიმზმების აღწერა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ექვემდებარება შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენება: **დარგში არსებული სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი; სტუდენტების უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრული კვლევა; დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი სიახლეების ანალიზი; დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა; პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.** შეფასების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. შეფასების შედეგები, ისევე როგორც შეფასების შედეგების გამოყენება ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

2019 წლიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტში დაინერგა პროგრამის ყოველწლიური შიდა თვითშეფასების კულტურა, ამ მიზნით შემუშავებულ იქნა შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, რომელიც ყოველწლიურად უყრის თავს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს - გამოკითხვების შედეგებს, ინფორმაციას სტუდენტთა პროგრესიის შესახებ, ინფორმაციას განხორციელებული კვლევების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობის მაჩვენებელსა და სხვ.

იმის გათვალისიწინებით, რომ სწავლა-სწავლების ხარისხი არ გულისხმობს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი აკადემიური სერვისების ეფექტურობის, ინდივიდუალური კონსულტაციების, პედაგოგის მიერ გაცემული უკუკავშირის ხარისხის შესაფასებლად. სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისთვის ასევე გამოიყენება კოლეგიური დასწრება ლექციებსა და სემინარებზე.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი მექანიზმები და ინსტრუმენტები:

1. სტუდენტების გამოკითხვა;
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;
3. ლექციაზე დასწრება/კოლეგების შეფასება;
4. გარე შეფასება;
5. აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
6. საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შიდა თვითშეფასება;
7. სწავლის შედეგების შეფასება;
8. დარგში არსებული სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი;
9. სტუდენტების უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა;
10. დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი სიახლეების ანალიზი;
11. დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი;
12. კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
13. პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი;
14. სწავლა სწავლების სტრატეგიის იმპლემენტაციის შედეგების ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის

ზემოაღნიშნული მექანიზმებით განხორციელებული შეფასების შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაძლებელია მექანიზმების სხვადასხვა კომბინაციის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების შეფასება ციკლურია და პერიოდი წარმოადგენს ერთ სემესტრს ან ერთ აკადემიურ წელს, სხვადასხვა მექანიზმების განხორციელებისთვის **(პერიოდულობა მოცემულია ცხრილში N1).**

ცხრილი N1 **საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები, პერიოდულობა, მათში ჩართული მხარეები და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები.**

მექანიზმი	რას ვაფასებთ?	პერიოდულობა	ჩართული მხარეები	მარეგულირებელი დოკუმენტი/პროცედურა
სტუდენტთა გამოკითხვა	საგანმანათლებლო პროგრამები; სწავლა-სწავლება, მ.შ: სასწავლო კურსით კმაყოფილება; სწავლება-სწავლის მეთოდების ადექვატურობა; შეფასების მეთოდების/შინაარსის ადექვატურობა; შეფასების სამართლიანობა; ლექტორის უკუკავშირი; ლიტერატურით კმაყოფილება; პერსონალით, მატერიალური რესურსით; სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული საკონტაქტო /არასაკონტაქტო საათებით კმაყოფილება, სხვ.	არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ასევე საჭიროების ამებრ,	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სტუდენტები; ფაკულტეტი.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა	სწავლება-სწავლის მეთოდების ადექვატურობა; შეფასების მეთოდების/შინაარსის ადექვატურობა; სასწავლო რესურსებით კმაყოფილება, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებით კმაყოფილება;მატერიალური რესურსით; სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული საკონტაქტო /არასაკონტაქტო საათებით კმაყოფილება, სხვ.	საჭიროების ამებრ, სულ მცირე აკადემიური წლის ბოლოს	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტი. პროგრამის განამხორციელებელი პერსონალი	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
ლექციაზე დასწრება/კოლეგების შეფასება	სალექციო პროცესი; გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები; ლექციის/სამუშაო ჯგუფის დაგეგმვა და სხვ.	სემესტრში ერთხელ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; განათლების დეპარტამენტი; აკადემიური პერსონალი	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; კოლეგიური დასწრების პროცედურა.

გარე შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლება-სწავლის პროცესი	აკრედიტაციის/ რეაკრედიტაციის დროს; გარე შემფასებლის მოწვევისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტი; შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
აკადემიური მოსწრების მონიტორინგი	სწავლა-სწავლება - შეფასების სამართლიანობა; შეფასების ადექვატურობა; სხვ.	სემესტრში ერთხელ	ფაკულტეტები; საგამოცდო ცენტრი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შიდა თვითშეფასება	საგანმანათლებლო პროგრამები სრულად (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შეფასებების შედეგები; პერსონალის, მატერიალური რესურსის შეფასების შედეგები და სხვ.)	წელიწადში ერთხელ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტი; შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ფორმა.
სწავლის შედეგების შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე; სამიზნე ნიშნულების შესაბამისობა.	სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შესაბამისად.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტი.	სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამები
დარგში არსებული სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი	საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის შესაბამისობა დარგში არსებულ სიახლეებთან	წელიწადში ერთხელ	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი; ფაკულტეტი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი	დარგის სწავლებისას გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა საუკეთესო პრაქტიკასთან	წელიწადში ერთხელ	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

სიახლეების ანალიზი				
დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, შედეგების, შინაარსის შესაბამისობა დამსაქმებელთა საჭიროებებთან	ორ წელიწადში ერთხელ, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის თვის	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
კურსდამთავრებულთა კმაყოფილება საგანმანათლებლო პროგრამით	საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისობა დამსაქმებელთა მოთხოვნებთან; სხვ.	წელიწადში ერთხელ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტი; კურსდამთავრებულები	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
საგანმანათლებო პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი	სტუდენტთა მიღება; მობილობა, შიდა მობილობა; სტუდენტთა პროგრესია; საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი; სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი და სხვ.	წელიწადში ერთხელ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტი; განათლების დეპარტამენტი;	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

1. **Plan-** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საგანმანათლებლო პროგრამასთან და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებისას გამოყენებული შეფასების შედეგების - მონაცემების/სტატისტიკის და კვლევის შედეგების მოგროვება/დამუშავებასა და ფაკულტეტისათვის მიწოდებას.

2. **Do-** შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენების (რომლის რეალიზება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინსტრუმენტებისა და პროცედურების განხორციელებით) საშუალებით შეგროვებული მონაცემები აისახება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შიდა თვითშეფასების ანგარიშში, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის სტრატეგიას - შესაბამის ქმედებებსა და ვადებს. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობას იღებს: პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები; ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, შევსებული შიდა თვითშეფასების ანგარიშზე და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს.

3. **Check**- მიღებული რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წლიური ანგარიში, ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის განვითარებისა და გამოწვევების გადაჭრის იდენტიფიცირებულ გზებთან ერთად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს. შესაბმისი ინტრევენციების განხორციელების მიზნით.

4. **Act-** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და წლიური ანგარიშის შედეგებზე დაფუძნებით ფაკულტეტის/წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება[1]. საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ ახლიდან იწყება **შეფასების PDCA ციკლი,** რომელიც ხორციელდება ყოველწლიურად.

[1] პროგრამის გაუქმების ან და არააკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების გადაწყვეტილების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის შეფასება და დადასტურება.

პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგები

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა სწავლების ხარისხის შეფასების ზემოთ აღწერილი მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყფილი იქნა უნივერსიტეტში მოქმედი თითოეული პროგრამისა და სწავლა - სწავლების ხარისხის შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავებული და გაანალიზებული იქნა შეფასების შედეგები. ამავდროულად მიღებული შედეგები გაანალიზდა წინა წლის შედეგებთან ბმაში.

შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებო პროგრამები და სწავლა სწავლების ხარისხი თვასებადია უნივერსიტეტის შიდა და გარე მარეგულირებელ ჩარჩოსთან(დადგენილ სტანდარტებთან), ამასთანავე წინა წლის შედეგებთან შედარებითამ ანალიზმა ცხადყო, რომ გაუმჯობესებულია როგორც რაოდენობირივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლები. აღნიშნული პროგრესი განსაკუთრებით ცხადად გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთეავრებულების) გამოკითვხვის შედეგებში, რომელიც რეგულარულად ტარდება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2019-2020 სასწავლო წლის შეჯამების მიზნით ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტში სწავლების ხარისხით კმაყოფილების დონე მაღალია.

იხ.დიაგრამა N1.1.



მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არ იკვეთება საყურადღებო და მკვეთრად პრობლემატური საკითხები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოკთხვის შედეგები

დამუშავვა სხვა და სხვა ასპექტით კმაყოფილების ჭრილში, მოახდინა, ძირითადი მიგენებების იდენტიფიცირება და მასზე დაფუძნებით შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა.

კერძოდ სტუდენტების მიერ შეფასდა საგანმანათლბელო პროგრამები და სწავლა სწავლების ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის შეფასება

დიაგრამ N1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის შეფასება



საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას, სტუდენტების უმრავლესობა ეთანხმება (ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება) მოცემულ დებულებებს, რაც დადებითი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურას - სასწავლო კურსების თანმიმდევრულობასა და ლოგიკურობას, გამოკითხულ სტუდენტთა 75,9% აფასებს დადებითად, 11.2 % თავს იკავებს პასუხის გაცემისგან და მხოლოდ 13% ნაწილობრივ ან არ ეთანხმება დებულებას, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი მისი სასწავლო კურსების გათვალისწინებით თანმიმდევრული/ლოგიკურია. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 70.6% ეთანხმება (სრულად ეთანხმება/ეთანხმება), რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას, გამოკითხულ სტუდენტთა 59% (11%-ით ნაკლები, ვიდრე პირველ შემთხვევაში) ეთანხმება დებულებას - სასწავლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი სათანადოდ არის განაწილებული. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკული კომპონენტის გაზრდასთან დაკავშირებით, უკვე იყო გაცემული რეკომენდაცია და დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამებში აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება, სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დინამიკაში დაკვირვება. მიუხედავად იმისა, რომ დებულებები დადებითად არის შეფასებული, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი პროცენტი პასუხისა „სრულიად არ ვეთანხმები“ დაიმსახურა დებულებამ - პროგრამა ითვალისწინებს არასავალდებულო საგნების არჩევანის შესაძლებლობას (14.71%). აღნიშნულის მიზეზების დასადგენად დამატებითი კვლევაა საჭირო, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს არჩევითი კურსების მრავალფეროვნებას.

სწავლების პროცესის შეფასება

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არ იკვეთება საყურადღებო საკითხები სტუდენტთა დატვირთვასა ან/და პროგრამების ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებთან მიმართებით. საყურადღებოა ფაქტი, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 22.9%- მა ვერ გასცა პასუხი დებულებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, ხოლო 15.9% არ დაეთანხმა მოცემულ დებულებას. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს, სხვადასხვა საინფორმაციო არხის გამოყენებით, კიდევ ერთხელ მიეწოდოთ ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობის შესახებ. საგულისხმოა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობით ატქიურად სარგებლობენ უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნულს ადასტურებს განათლების დეპარტამენის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში და მაში მოყვანილი სტატისტიკა. ამავდროულად პროგრამების რეაკრედიტაციის მიზნით გარე შეფასების შედეგებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შმეუშავების მეთოდოლოგია და მისი გამოყენების მაჩვენებელი ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სახელდებოდა სხვა და სხვა წარმოების დროს. ამდენად როგორც უკვე აღინიშნა მიზანშეწონილია ამ საკითხზე სტუდენტთა ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობა.

საგანმანთლებლო პროგრამის შეფასება პრაქტიკული უნარების მიღების ჭრილში

გამოკითხულ სტუდენტთა 78.82% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება, რომ სასწავლო კურსები, რასაც სწავლობს, შესაბამისია იმ პროფესიის, რასაც ეუფლება. შესაბამისად, კიდევ ერთხელ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურითა თუ შინაარსით სტუდენტების კმაყოფილება მაღალია, ასევე მაღალი შეფასებით აფასებენ სტუდენტები სწავლების შინაარსს მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ამისდამიუხედავად, სტუდენტების 21% არ ეთანხმება დებულებას, რომ მათ სასწავლო პროცესში ბევრი პრაქტიკული დავალების გავლის შესაძლებლობა აქვთ. აღნიშნული მაჩვენებელი საყურადღებოა, და მნიშვნელოვანია, პროგრამის ხელმძღვანელებსა და სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს შორის შედგეს კომუნიკაცია. ამასთან, გამოკითხვის აღნიშნული დებულება და მისი შედეგი შეიძლება უკავშირდებოდეს უკვე განხილულ შედეგს - პროგრამის პრაქტიკულ და თეორიულ ნაწილებს შორის ბალანსთან დაკავშირებით. შესაძლებელია, სტუდენტების მოსაზრება სწორედ იმით იყოს განპირობებული, რომ მათ სასწავლო კურსების ფარგლებში მეტი პრაქტიკული დავალება სურთ (დიაგრამა 1.2.).

სტუდენტების შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასების სისტემასთან მიმართებით სტუდენტთა პასუხები გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემასთან, შეფასების კრიტერიუმებთან, შეფასების გამჭვირვალობასა თუ სამართლიანობასთან დაკავშირებით საყურადღებო საკითხები არ გამოკვეთილა. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ, შეფასების კრიტერიუმები მათთვის მკაფიოა, სტუდენტების აზრით, შეფასების მეთოდები და შინაარსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის თუ სასწავლო კურსის შინაარსს და შეფასებები სამართლიანია.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველთვის მზად არის გაუწიოს სტუდენტს ინდივიდუალური კონსულტაცია, ასევე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო კონსულტაცია საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისგან.

ასევე ლიტერატურით სტუდენტთა კმაყოფილება საშუალოზე მაღალია. სტუდენტთა მიერ უცხო ენის კომპონენტის სწავლების დონით კმაყოფილება საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება 17.1%-ს, ვინც არ შეაფასა მოცემული დებულება, დიდი ალბათობით არ სწავლობს მიმდინარე აკადემიურ წელს უცხო ენას

დისტანციური სწავლების შეფასება

გამოკითხვის ფარგლებში, სტუდენტებმა შეაფასეს დისტანციური სწავლების რამდენიმე ასპექტი - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა, საგამოცდო პროცედურები, სწავლების მეთოდები, ფორმატი, ასევე შეფასების მეთოდები. სტუდენტთა კმაყოფილება მაღალია. არც ერთი დებულების საშუალო შეფასება არ არის 4-ზე ნაკლები. სტუდენტები დებულებებს მაქსიმუმ 5 ქულით აფასებდნენ.ადმინისტაციის მხარდაჭერას დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პროცესში აქვს ყველაზე მაღალი შეფასება სტუდენტების მხრიდან - 4.4

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ხდება პროგრამის განმახოციელებელი პერსონალის მიერ

პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი 5 ქულიან სკალაზე აფასებდა საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა ასპექტებს. ყველა კრიტერიუმის მიხედვით პერსონალმა პროგრამები მაღალი ქულით შეაფასა.

დასკვნები და რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა სწავლების ხარისხის შეფასეფასთან დაკავშრებით:

1. აღსანიშნავია სტუდენტთა მიერ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სწავლების ხარისხისა და პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციების შეფასება - შეიძლება ითქვას, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტის ძლიერი მხარე სწორედ მაღალი ხარისხის სწავლება და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალია.

2. სტუდენტები ასევე კმაყოფილნი არიან (საშუალო ქულა - 4 ზე მეტი) დისტანციური სწავლების პროცესით, სწავლების და შეფასების მეთოდებით, ადმინისტრაციის მხარდაჭერით.
3. 3.2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტების გამოკითხვის შედეგად, არ გამოვლენილა პრობლემური საკითხები, თუმცა გამოიკვეთა საყურადღებო მიმართულებები, რაც ხშირად სტუდენტთა ინფორმირების დონეს უკავშირდება.

4. საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, სტუდენტთა კმაყოფილება მაღალია, თუმცა სტუდენტთა ნაწილი ითხოვს საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები და საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულია ცვლილებები 2020 წელს. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დააკვირდება აღნიშნული საკითხის შეფასებას დინამიკაში და მხოლოდ შემდეგი გამოკითხვის შედეგად გასცემს დამატებით რეკომენდაციას (საჭიროების შემთხვევაში).

5. რეკომენდებულია შეფასდეს სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული დავალებების შესრულების შესაძლებლობები. ეს შესაძლოა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების და აკადემიური პერსონალის მიერ.

2.

პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგებზე უკუკავშირი

უნივერსიტეტში დანარეგილია პერსონალის შეფასების სისტემა, რომლის მიზანია დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების გაუმჯობესება, მისი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა და უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება.

უნივერსიტეტში პერსონალის შეფასება წარმოებს კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ნდობისა და უნივერსიტეტისა და პერსონალის ინტერესთა თანაზომიერების პრინციპების დაცვით.

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება „პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად. კერძოდ:

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნებია:

- ფაკულტეტების და სამეცნიერო ერთეულების აკადემიური პერსონალის მიერ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სამეცნიერო ინტელექტუალური შრომის როლის და მნიშვნელობის ზრდის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- სამეცნიერო ინტელექტუალური შრომის მოტივაციის მკვეთრად გაძლიერება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა;
- სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავების უზრუნველყოფა;
- პერსონალის შესაძლებლობების გამოვლინება და მათი მხარდაჭრა შემდგომი განვითარებისათვის;
- პერსონალის გასაუმჯობესებლი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრისათვის რელევანტური მხარდჭერით უზრუნველყოფა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დაფუძნებულია უნივერისტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებულ პრინციპებზე და უზრუნველყოფს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის პრინციპების განუხრელად დაცვას.

უნივერისტეტში აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ყოველწლიურ შეფასებას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის გამოყენებით.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, ასევე საქმიანობის ხარისხი.

შეფასება ხდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს და დაფუძნებულია რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებზე.

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი იდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რაოდენობა;
- სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა.

სამეცნიერო-კვლევითი შრომების რაოდენობა - აღნიშნული ინდიკატორი გულისხმობს საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობას და მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- მონოგრაფიის მომზადება;
- კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება/მონაწილეობა;
- სახელმძღვანელოს მომზადება;
- სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება/მონაწილეობა;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში:
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული საზღვარგარეთის ჟურნალში;
- სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა კრებულში;
- სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების მომზადება;
- სტატია ან თეზისები სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მასალათა კრებულში;
- სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება;
- მოხსნება სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში;
- ეროვნულ ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა;
- სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა და ა.შ.);
- სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება (კონფერენცია, პროექტი);
- სარედაქტორო საქმიანობა (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა) და სხვა;
- სარეცენზიო საქმიანობა (სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის, სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

- სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა (სხვა უსდ-ში მიწვევის, ან ერთობლივი სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში);
- სამეცნიერო საზოგადოების წევრობა;
- დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტში/პროექტებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა;

სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა - გულისხმობს ციტირების და ჰირშის (h) ინდექსებს, რომლის შესახებაც ინფორმაციას უნივერსიტეტი იღებს საბიბლიოთეკო კონსორციუმიდან, უნივერსიტეტის დაკვეთის საფუძველზე. აღნიშნული ინდიკატორი მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:

- ციტირების რაოდენობა;
- ციტირება (google scholar) (g);
- ციტირება (web of science) (g);
- ციტირება (Scopus) (g);
- ციტირება (google scholar) (h);
- ციტირება (web of science) (h);
- ციტირება (Scopus) (h);

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ყოველწლიური შეფასება უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის გამოყენებით.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ აკაემიური წლის ბოლოს წარედგინება სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტს.

სავალდებულოა აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალურ ქულათა რაოდენობა.

აკადემიური პერსონალის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშს განიხილავს სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი და შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება მოიცავს სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;
- პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;
- პერსონალის შეფასება განათლების დეპარატამენტის უფროსის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;
- პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;
- პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.

აკდემიური პერსონალის საბოლო წლიური შეფასება მოიცავს, როგორც სამეცნიერო კველვითი საქმიანობის, ასევე აკადემიური საქმიანობის აკადემიური წლის საბოლო დაჯამებულ შედეგებს.

ხარიხსხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

აკადემიური პერსონალის წლიური და სემესტრული შეფასების ფორმა

	შეფასების კომპონენტები	**წონა**	**შეფასება**					**საერთო წონა**
			1	2	3	4	5	
1	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	35						
2	პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	5						
3	პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	10						
4	პერსონალის შეფასება განათლების დეპარატამენტის უფროსის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	5						
5	პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით;	5						
6	პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ შესაბამისი კითხვარის გამოყენებით.	40						
	საერთო შეფასება APV	100						

შეფასების ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე ენიჭება წონა. წონების განაწილება მოცემულია ცხრილი 5-ში.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის საერთო შეფასება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$APV = \sum W_i R_i$$

სადაც APV - არის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური აქტივოების საერთო შეფასება.

W_i - გვიჩვენებს i-იური კომპონენტის წონას;

R_j - გვიჩვენებს i-ური კომპონენტის შეფასებას 1-დან 5-მდე.

შეფასების დიაპაზონი

დაბალი	მაღალი	უმაღლესი
0-2	2.01-4	4.01-5

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური სამიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერისტეტი უფლებამოსილია მოახდინოს საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის ფინანსური წახალისება. წახალისების წესი და მოცულობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერისტეტი უფლებამოსილია მოახდინოს საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის ფინანსური წახალისება. წახალისები წესი და მოცულობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება ფაკულტეტებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტს.

ხარიხსხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

აღნიშნული საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის მომზადება, სადაც უნდა დაფიქსირდეს გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები.

პერსონალის სამეცნიერი აქტივობების შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტი.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური სამიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერისტეტი უფლებამოსილია მოახდინოს საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის ფინანსური წახალისება.

მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე უნივერისტეტი უფლებამოსილია მოახდინოს საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის ფინანსური წახალისება.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური სამიანობის წლიური შეფასების უარყოფი შედეგები შესაძლოა გახდეს პერსონალთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველი.

ზემოთ მოცემული შეფასების დიაპაზონის შესაბამისად პერსონალის შეფასების შედეგებზე რეგირება უზრუნველყოფილია შემდეგი სახით:

- 4.01-5 - უმაღლესი შეფასება - უნივერსიტეტის იყენებს უნივერსიტეტში დადგენილი წახალისების შესაბამის ფრომას;
- 2.01- 4 - მაღალი შეფასება - უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი წახალისების შესაბამის ფრომა;
- 0-2 - დაბალი შეფასება - ეს შედეგი საყურადღებოა, საჭიროებს გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას და განხორციელებას. აღნიშნული საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის მომზადება, სადაც უნდა დაფიქსირდეს გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა. მოცემული შეფასების შედგები შესაძლოა გახდეს პერსონალთან შრომითი ურთიერთბის შეწყვეტის ან და მასზე შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად სანქციის დაწესება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგები

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის განსზღვრული მექანიზმების გამოყენებით შეფასდა 2019-2020 წლის მდგომარეობით უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაბალი შეფასების მაჩვენებელი არ გამოვლენილა. მნიშვნელოვანია, ისიც რომ სტუდენტებს სპეციალურად შედგენილი მრავალკომპონენტიანი კითხვარის გამოყენებით თითოეულ კომპოენენტთან მიმართებით 5 ქულიაი შკალით უნდა შეეფასებინათ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა და მათი მაღალი ქულებით შეფასეს პროგრამის განამახოციელებელი პერსონალის ურავლესობა. აღნიშნული ძალიან მნიშვენლოვანი იდიკატორია არა მხოლო პერსონალის შეფასების საერთო შედეგის კონტექსტში, არამედ უნივერსიტეტის მისრაფების - გაამართლოს სტუდენტთა მოლოდინები.

როგორც უკვე აღინიშნა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში 2019-2020 წლიდან დაინერგა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესაფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო პოტენციალის ანალიზს.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო კვლევის განვითარების დეპარტამენტი მიერ გაანალიზდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და ინდივიდუალურ დონზე, კერძოდ. შესწავლ იქნა სამივე ფაკულტეტის (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა; ბიზნესისა და ინჟინერიის და ჯანდაცვის) აკადემიური პერსონალის, ასევე სამეცნიერო სტრუტურული ერთეულების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა სხვა და სხვა მიმართულებით, როგორიც არის მაგ:

- **სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები (ბოლო 5 წლის განმავლობაში)** - უნივერსიტეტში აფილირებული და აკადემიური პერსონალის მიერ 141 ნაშრომის გამოქვეყნებული. ადგილობრივ რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, 138 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო კონფერენციების კრებულებში და 45 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებსა და ნაშრომებში
- **მონოგრაფია, სახელმძღვანელო, თარგმანი** - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და აფილირებული პერსონალის მიერ გამოქვეყნებულია 26 მონოგრაფია, 35 სახელმძღვანელო. 22 თარგმანი და 7 პატენტი, გამოგონება. ;
- **სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა B.8, B.9** - უნივერსიტეტის აკადემიური და აფილირებული პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული 48 ადგილობრივი სამეცნიერო პროექტებში და 53 საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში.
- **სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა B.10, B.11, B.12, B.13** - აკადემიურ და აფილირებული პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული 168 სამეცნიერო კონფერენციაში, 10 სემინარსა და 107 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში. 79 წიგნის, მონოგრაფიის, დისერტაციის, სტატიის და სხვა სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება აქვს გაკეთებული.
- **ციტირების ინდექსის მაჩვენებელი B14** - უნივერსიტეტის აკადემიური და აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა განისაზღვრება ციტირების რაოდენობით. ცხრილი 5 გვიჩვენებს, რომ სულ ციტირების რაოდენობაა 754. აქედან 189 არის g ინდექსი, google scholar-ში ციტირებული, 51 web of science-ში ციტირებული g ინდექსი და 17 scopus-ში ციტირებული g ინდექსი. 51 h ინდექსი google scholar-ში ციტირებული. 10 web of science-ში ციტირებული და 10 scopus-ში ციტირებული.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შედარებითი ანალიზი ფაკულტეტების მიხედვით

B1. ადგილობრივ რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები

დიაგრამა 1

B2. საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები,

დიაგრამა 1



B3. მაღალრეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები

დიაგრამა 2

B.4 მონოგრაფია

დიაგრამა 3

B.5 სახელმძღვანელო

დიაგრამა 4



B.6 თარგმანი

დიაგრამა 5

B.7 გამოგონება, პატენტი

დიაგრამა 6

B.8 ადგილობრივ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

დიაგრამა 7

B.9 საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

დიაგრამა 8



B.10-1 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა

დიაგრამა 9

B.10-2 საერთაშორისო სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა

დიაგრამა 10

B.11 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, მონაწილეობა

დიაგრამა 11



B.13 სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება (წიგნი, მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია და სხვა)

დიაგრამა 12



B.14 ციტირება (google scholar) (g)

დიაგრამა 13

B.14 ციტირება (web of science) (g)

დიაგრამა 14



B.14 ციტირება (Scopus) (g)

დიაგრამა 15



B.14 ციტირება (google scholar) (h)

დიაგრამა 16



B.14 ციტირება (web of science) (h)

დიაგრამა 17



B.14 ციტირება (Scopus) (h)

დიაგრამა 18

ზემოთ აღწერილი ფაქტები, გარემოებები, რაოდენობრივი მაჩვენებლები და დიაგრამებზე წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს. ინსტიტუციის ძლიერ მხარედ შესაძლოა გავიხილოთ: კონფერენციების ორგანიზება; კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალი; აფილირებული პერსონალის რაოდენობა; უნივერისტეტის სამეცნიერო ჟურნალი უნივერსიტეტის მენეჯმენტის მზაობა და შესაძლებლობა კვლევების ფინანსებისათვის და რელევანტური მექანიზმებით მხარდასაჭერად. ამასთანავე მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- სამეცნიერო პერსონალის გარზდა;
- კვლევების ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ცნობადობის ამღლებისათვის შესაბმისი სტრატეგიების შემუშავება;
- კვლევების კომერციალიზაციის მხარდაჭერა;
- ციტირების რაოდენობის გაზრდა;
- ჟურნალებში შრომების გამოქვეყნება, რომლებიც ციტირებს web of sciences, ერიხ პლუსის და სკოპუსის სამეცნიერო ბაზებში.

უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ - აკადემიური წლის ბოლოს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ადმინისტრაციული პერსონალის შუალედური შეფასება, რომლის შედეგებზე რეაგირებას განმავითარებელი როლი აქვს.

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება განსხვავებული მეთოდებითა და ინსტრუმენტებით ხორციელდება, იმის და მიხედვით თუ რომელი რგოლის თანამშრომელია. უნივერსიტეტში ფასდება მენაჯერული და არამენჯერული პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლები შესაბამისი კრიტერიუმებითა და პროცედურის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს, როგორც დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასებას, ასევე ქცევითი და ტექნიკური კომპეტენციების შეფასებას.

ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წლიური მიზნების მიღწევა და პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს:

- შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას;
- შეფასების ვადების და პროცედურის დადგენას;
- შედეგების დამუშავებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგებზე უკუკავშირის განხორციელებას;
- პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულებაში პროგრესის ან/და რეგრესის მონიტორინგს;
- შესრულებული სამუშაოს შეფასების წლიური შედარებით ანალიზს;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგებისა და მათ გასაუმჯობესებლად განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის ანგარიშის წარდგენას.

პერსონალის შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები, ფორმები და პერიოდულობა წინასწარ არის ცნობილი პერსონალისთვის. მიმდინარე შეფასება სრულდება ახალი შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე.

შეფასების პროცესში შევსებული კითხვარები კონფიდენციალურია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

ადმინიტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგები

უნივერსიტეტში ზემოთ აღწერილი პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. შეფასებაში მონაწილეობა მიიღო :

არამენეჯერული პოზიცია: მონაწილეთა რაოდენობა: 47 თანამშრომელი მათ შორის : შესაფასებელი პირები - 35 შემფასებლები - 12.

მენეჯერული პოზიცია: მონაწილეთა რაოდენობა: 31 თანამშრომელი მათ შორის : შეფასებული თანამშრომლების რაოდენობა -22. შემფასებლების რაოდენობა - 9.

თანამშრომელთა შეფასების შედეგები დამუშავდა და გაანალიზდა ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანამშრომლების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მთელი რიგი ღონისძებებისა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობა.რომელიც ემსახუფება შეფასების შედეგებით წარმოჩენილი პოზიტიური შედეგების გამყარება/გაუმჯობესებასა და ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა/გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს, როგორც თანამშორმლების, ასევე სტუდენტების კმაყოფილების ზრდას და შესამისად , უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ცნობადობის ამაღლებას და პოზიტიური იმიჯის განმტკიცებას.

წინამდებარე ანაგარიშის შესავალ ნაწილში აღინიშნა, რომ ხარისხის გასაუმჯობესებლად სასიცოცხლოდ მნიშვენლოვანია უკუკავშირის კულტურის დადასტურება ყველა პროცესთან მიმართებით. მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის და თანმშორმლებისგან შესაბამისი უკუკავშირის მიღების ფორმით. გამომდინარე აქედენა დეპარტამენტის მიერ შეფასების შედეგების დამუშავების შემდგომ დაიგეგმა და განხოციელდა კონკრეტული ღონისძიებები, სადაც განხილული იქნა შეფასების შედეგების ძირითადი ტენდენციები განზოგადებულ, ასევე ინდივიდუალურ ჭრილში.(დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებას ახდენს მათი პროფესიული განვითარებისა და წახალისების მიზნით. (დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

საანგარიშო პერიოდში მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა და დაიგეგმა პერსონალის განვითარების მიზნით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლისთვის ადმინისტრაციული პერსონალის საშუალო ხელფასი გაზრდილია 2-ჯერ, აკადემიური პერსონალის 1.8-ჯერ. საანგარიშო პერიდოში ასევე მნიშვნელოვანი თანხები იქნა მიმართული პერსონალის ფინანსური წახალისების მიზნით. (დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

ზემოთ აღწერილმა გარემოებებმა და ფაქტები ადასტურებს უნივერსიტეტში პერსონალის შეფასებისა და განვითარების სისტემის იმპლემენტაციას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროცედურებისა და წესების შემუშევებიდან პირველი წელია მისის სრულფასოვანი იმპლემენტაციის. მიზანშეწონილია შეფასების სისტემის გაანალიზება, რამდენად ეფექტიანად იმუშავა არსებულმა სისტემამ და იმის დადგენა ხომ არ საჭიროებს შესაბამის ინტერვენციებს. ამასთან მნიშვნელოვანია მოხდეს შეფასების პროცესის სრულად ავტომატიზირება, პროცესების ეფექტინობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით.

3.

კვლევითი საქმიანობის შეფასება

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების აღწერა

კვლევის ხარისხის შეფასება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის დონეზე.

უნივერსიტეტში დანერგილი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემით ფასდება, როგორც პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, ასევე საქმიანობის ხარისხი.

შეფასება გხოციელდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს და დაფუძნებულია რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებზე.

ინდივიდუალურ დონეზე აკადემიური პერსონალის კვლევის ხარისხის შეფასება ხორციელდება EEU- ს პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად. აკადემიური **პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის წლიური თვითშეფასების ანგარიშის გამოყენებით. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი იდიკატორები:**
სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების რაოდენობა;
სამეცნიერო-კვლევითი შრომების პროდუქტიულობა.
პერსონალის სამეცნიერო კლევითი საქმიანობის შეფასება განხილულია წინამდებარე ანაგრიშის მე- 2 პარაგრაფში.

ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება **ფაკულტეტის წლიური ანგარიში,** რომელიც მოიცავს ინფორმაციას ფაკულტეტზე განხორციელებული კვლევების შესახებ ასევე დაგეგმილი პროექტების შესახებ. ფაკულტეტის ანგარიში თავდაპირველად განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით წარედგინება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, რომელიც დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს **უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების წლიური ანგარიშის** სახით.(დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ხდება ფაკულტეტებიდან მიღებული ანგარიშებში წარმოდგენილი ინფრმაციის თავმოყრა და **უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშის სახით ჩამოყალიბება.**

აღნიშნული, კონსოლიდირებული ანგარიში წარედგინება ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მის შედეგებს ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგების შესახებ

სამსახურის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშში, რომელიც განიხილება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების გამოყენება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის შეფასება განხოციელდა ზემოტა დასახელებული მექანიზმებისა და პროცედურის შესაბამისად.

სამსახურმა შეისწავლა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტსის მიერ მომზადებული უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის.

დასახელბული ანაგრიშის ანალიზი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის მიერ კვლევითი საქმიანობის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია განცდილი საანგარიშო პერიოდში, როგორც ინდივიდულურ,ასევე საფაკულტეტო და შესაბამისად საუნივერსიტეტო დონზე.

დეტალური ინფორმაცია კვლევითი საქმიანობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განცდილი პროგრესის შესახებ დეატლურად მოცემულია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ანგარიშში.
აქვე გამოვყოფთ, რამოდენიმე ფაქტს და გარემოებას, რომელიც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობას, კერძოდ:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური ,,ბონუს სისტემა" უნივერისტეტში დაინერგა 2019 წელს და აღნიშნული სისტემით დღემდე უკვე ისარგებლა **78-მა აკადემიურმა პერსონალმა,** ხოლო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერით ისარგებლა **25-ზე მეტმა აკადემიურმა პერსონალმა,** დაფინანსდა 45-ზე მეტი სტუდენტური პროექტი და აქტივობა. უნივერისტტში ჩატარებული შიდა კველვების თანახმად ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ პერსონალის დაბალი **ინფორმირებულობა,** რის შედეგად უნივერსიტეტმა განახორციელა არაერთი აქტივობა დისემინაციის მიმართულებით, რასაც მიმდინარე პერიოდშიც აგრძელებს.
- 2020 სასწავლო წელს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 336 000 ლარი. კვლევითი ბიუჯეტი ასევე მოიცავს დაფინანსებას შიდა საგრანტო პროექტებისთვის - 130 000 ლარი; ცალკეა გამოყოფილი ბიუჯეტი ლაბორატორიების აღჭურვისთვის - **189000** ლარი, ციფრული აპარატურისთვის 297000 ლარი; 2020 წლისთვის ბონუსური სიტემის დაფინანსების ფარგლებში პერსონალმა მიიღო 108300 ლარი.
- 2020 წლის მაჩვენებლებით საუნივერსიტეტო და აკადემიური პერსონალის გამოცემები დაფინანსდა 29540 ლარით; სამეცნიერო ადგილობრივი, საერთაშორისო და სტუდენტური კონფერენციები - 79854 ლარით.

უნივერსიტეტში 2020 წელს ჩატარებული სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევითი საქმიანობა და კვლევით პროექტებში/აქტიოვობებში მონაწილეობის შესაძლებლობები

დადებითად არის შეფასებული. (დეტალურად იხ. შესაბამისი 2019-2020 წლის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანგარიშში და 2019-2020 წლის ადმინისტრაციული და პროგრამის განმახოციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიში). ზემოთ აღწერილი ფაქტები ადასტურებს, რომ კვლევითი საქმიანობის განვითარების დინამიკა მზარდია, თუმცა განვითარების მზარდი დინამიკის კვლა და კვალ მნიშვენლოვანია გაძლირდეს ზრუნვა შედდეგი საკითხების გასაუმჯობესებლად:

- სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა
- კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელის გარზრდა
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა
- კვლევების კომერციალიზაცია;
- EEU -ს სამეცნიერო ჟურნალის ცნობადობის გაზრდა
- საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელის გაზრდა
- მაღალ (რეიტინგულ) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობისა და ციტირების გაზრდა
- კვლევითი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება.

4.

ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების შეფასება

უნივერსიტეტში ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების შეფასების მიზნით უზრუნველყოფილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმების გამოყენება:

- **საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება;**
- **სერვისების შეფასება;**
- **მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება;**
- **უნივერისტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასება;**
- **ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასება.**

საერთაშორისო თანამშორმლობისა ინტერნაციონალიზაციის შეფასებისთვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები და ინსტრუმენტები: სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა; უცხოელ სუტდენტთა მიღების შეფასება, ასევე უცხოელი პერსონალის მოზიდვის მაჩვენებელი;
საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების მაჩვენებელი, საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა; საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენთა რაოდენობა (მიღებული და გაგზავნილი, ინდივიდუალურად და უნივერსიტეტის პროგრამების მეშვეობით); უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული შეთანხმებები მობილობის შესახებ; მობილობაში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (მიღებული და გაგზავნილი, ინდივიდუალურად და უნივერსიტეტის პროგრამების მეშვეობით)საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლი. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიშის შედეგები.

სერვისების და მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასების მეანიზმები და ინსტრუმენტები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის გამოკითხვა; შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშები ანალიზი.

ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასების მეანიზმები და ინსტრუმენტები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის გამოკითხვა- კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის საქმიანობის სხვა და სხვა ასპექტებით. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშების ანალიზი. უნივერისიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შედეგების ანალიზი . საგანმანთლებლო სივრცეში ინსტიტუციის პოზიციონირების შედეგების შეფასება. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შესატანად განახორციელებული აქტივობების შეფასება.

დასახელებულლი მექანიზმების შედეგების გამოყენების პროცედურა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს დასახელებული მექანიზმებით მიღებული შედეგების მოგროვებას.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აფასებს წარმოდგენილ ანგარიშებსა და დასახელებულ შეფასების/კვლევის შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგებზე დაფუძნებით უზრუნველყოფს რეკომენდაციების განსაზღვრას და აქტიურ უკუკავშირს უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულთან და დაინტერესებულ პირებთან (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები);

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და განსაზღვრულ რეკომენდაციებს ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგების წლიურ ანგარიშში. განიხილება წარმომადგენლობით საბჭოზე და ხდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება მომდევნო წელს განსახორციელებელი აქტივობებისა შესახებ, ასვე საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი საკითხების მოგვარების გზების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება.

4. შემდგ ეტაპზე უზრუნველყოფილია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება. საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ ახლიდან იწყება შეფასების ციკლი, რომელიც ხორციელდება ყოველწლიურად.

ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების შეფასების მექანიზმების შედეგების გამოყენების შედეგები

ზემოთ აღწერილი მექანიზმები გამოყენებითსაანგარიშო პერიოდში უზრუნველყო: ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთოებების შეფასება; სტუდენტურის სერვისებისა და რესურსების (იფრასტრუტურა, ბიბლიოთეკა, და სხვა); ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასება.

შეფასების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში ყველა ზემოთ დასახელბული მიმართულებით განიცადა პროგრესი, საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, თუმცა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სამსახურის მიერ განსაზღვრა შესაბამისი რეკომენდაციები. წარმოვადგენთ თითოული მექანიზმის გამოყენების შედეგებს.

ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთოებების შეფასება

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამოკითხვის მეშვეობით შეფასებული იქნა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, გამოკითვის შედგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინტერნაციონალიზაციის ბლოკის დებულებებს მაღალი შეფასება აქვს, კვლავ საყურადღებო საკითხად რჩება სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე და რეკომენდებულია, გაიმართოს კიდევ ერთი შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც საერთაშორისო დეპარტამენტი გააცნობს სტუდენტებს უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო შესაძლებლობებს, გაცვლით პროგრამებს, მათში მონაწილეობის პირობებს და სხვ. პანდემიით გამოწვეული სოციალური დისტანცირებისა და დისტანციური სწავლების პირობებში, შესაძლებელია ონლაინ შეხვედრები ჩანაცვლდეს საინფორმაციო გაგზავნით, რათა სტუდენტებს ხელთ ჰქონდეთ საჭირო ინფორმაცია.

უნივერსიტეტის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედგების თანახმად, უნივერსიტეტში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშწეყობის მექანიზმების აღმწერი დებულებები პერსონალმა 3 ქულიანი შკალით შეაფასეს. რესპონდენტების უმეტესობა ეთანხმებოდა მოსაზრებას რომ მათთვის ხელიმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული ბაზები და აქვთ ამ ბაზების გამოყნებაში მხარდაჭერა, რომ გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმები სამართლიანი და გამჭვირვალეა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალს საერთშროსიო კონფერენციებში მონაწილეობაში. შედარებით ნაკლები ქულა მიიღო დებულებამ „ინფორმირებული ვარ საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (მემორანდუმები, უცხოელი პარტნიორები)“.

უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმირებულია 75.68%. მეოთხედზე მეტი აცხადებს რომ არ იცის ამ გაცვლითი პროგრამების შესახებ. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

მიუღია პერსონალის 7%-ს. გაცვლით პროგრამებში კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად დადგენილ კრიტერიუმების შესახებ ინფორმირებულია დაახლოებით ნახევარი

საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ხელშეწყობით მონაწილეობა მიუღია ყოველ მეოთხე რესპონდენტს. კომენტარებში რამოდენიმემ აღნიშნა რომ უცხო ენის სათანადო დონეზე არცოდნის გამო უჭირს ინტერნაციონალიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებებში ჩართულობა. რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (77%) ინფორმირებულია იმის შესახებ რომ უნივერისტეტი ატარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს უცხოელი პროფესორების მონაწილეობით.

მნიშვნელოვანია რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დაინტერესებულია სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ემსახურება. ყველაზე მაღალი ინტერესია უცხოელი პროფესორების მონაწილეობით ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების/სემინარების მიმართ. შედარებით ნაკლებია მობილობის პროგრამის მიმართ. თუმცა ორ მესამედზე მეტი დაინტერესებულია საერთაშორისო მობილობით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგების თანახმად, უნივერსიტეტში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმები უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწმყობ მექანიზმებს ადმინისტრაციული პერსონალი დადებითად აფასებენ. აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს რომ ხელმისაწვდომია ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ, იცნობენ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, გრძნობენ მენეჯმენტის მხარდაჭერას ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი კრიტერიუმები პერსონალის 91% ინფორმირებულია, საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიღებული მხოლოდ მცირე ნაწილს (4%) აქვს. უნივერსიტეტის თანადაფინანსებით საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა მიღებული აქვს ასევე მცირე ნაწილს (4%). ინტერნაციონალიზაციის აქტივობებში მონაწილოების არ მიღების მიზეზად უმეტესობა ასახელებს დროის უქონლობას, მეხუთედი უცხო ენის სათანადო დონეზე არ ცოდნას. ინფორმაციის არ ქონა /არასაკმარისი მხარდაჭერა არცერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა გამოკითხულთა 100% ადასტურებს რომ უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებებს უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით (workshop-ები, სემინარები, კონფერენციები, ტრენინგები, კონკურსები).

უნივერსიტეტში არსებობს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილოებისთვის თანადაფინანსების და დაფინანსების მექანიზმი, ასევე ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობაც. ადმინისტრაცია ინფორმაციას გონივრულ ვადებში აქვეყნებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ადმინისტრაციული პერსონალი მიიჩნევს რომ საერთაშორისო ღონისიძებებში მონაწილეობის წახალისებისთვის საჭიროა რომ უნივერსიტეტმა დროულად გამოაცხადოს ინფორმაცია მომავალი აქტივობების შესახებ, იმისათვის რომ შეძლონ დაგეგმონ შემდგომი პერიოდი (76%), 69% თვლის რომ მისთვის მნიშვნელოვანია უნივერსტიტმა ანაზღაურებადი შვებულებით უზრუნველყონ აქტივობის პერიოდისთვის, ყველაზე დიდი ნაწილი (86%)

მიიჩნევს რომ მისთვის მნიშვნელოვანია თანადაფინანსების მიღება უნივერსიტეტისგან. 70%-ს კი სურს რომ უნივერსიტეტი დაეხმაროს უცხოენის ცოდნის დონის ამაღლებაში.

საერთაშორისო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში :

საერთაშორისო ორგანიზაციების/პარტნიორების რაოდენობა;

საეთაშორისო პერსონალის რაოდენობა;

საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ვორკშოპების რაოდენობა;

პარტნიორი საერთაშორისო უნივერისტეტების რაოდენობა;

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიოში შექმნილი COVID19-ის პანდემიის გამო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა შეფერხდა. იმ სტუდენტებსაც კი, ვინც 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პანდემიამდე გაემგზავრა საზღვარგარეთ, მოუწიათ სწავლის შეწყვეტა და ქვეყანაში დაბრუნება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან საგრძნობლად გაიზარდა ბოლო სასწავლო წლებში შეთავაზებების რაოდენობა, ცხადია, რომ ბოლო პერიოდში მოკლებული იყო უნივერსიტეტის რეალურ შესაძლებლობას საერთაშორისო მობილობასა და გაცვლით პროგრამებში გაეზარდა სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა.

სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს სხვადასხვა ქვეყენებში გაცვლითი სასტიპენდიო და სამეცნიერო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ინფორმაცია განახლებად რეჟიმში ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტი აქტიურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას უწევს სტუდენტებსა და პერსონალს საერთაშორისო პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლავ გასაუმჯობესებლ მხარედ რჩება, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის მაჩვენებლების ზრდა. გამომდინარე აქედან რეკომენდებულია შესწავლილი იქნას თითოეულ ფაკულტეტზე სტუდნეტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესები, საჭიროებები საერთაშორისო ურთიერთოებებისა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობასთან მიმართებით და კვლევის შედეგებზე დაფუძნებით იქნას შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის ზრდას საერთაშორისო პროექტებში.

ასევე, მიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონაზაციის პოლიტიკის სრულფასოვანი იმპლემენტაციისთვის რეკომენდებულია მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში ადამიანური რესურსის ზრდა კომპეტენტური და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკის ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირებით.

სერვისების და მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამოკითხვის მეშვეობით შეფასებული იქნა სტუდენტთა უფლებები და მათი მხარდაჭერა- სტუდნეტური სერვისები. მატერიალური, საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზი ცხადყოფს რომ სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ თითოეული კომპონენეტის შესაფასებელად განსზღვრულ დებულებას. ძირითადი მიგენებები და გასაუმჯობესებელი საკითხები დეტალურად აღწერილია **2019-2020 წლის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანგარიშში.** (დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

უნივერსიტეტის პერსონალმა გამოკითხვის მეშვეობით შეაფასა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მხარდამჭერი სერვისები, მატრეიალური და საბიბლოთეკო რესუსრესები. შეფასების შედეგების ანალიზი ცხადყოფს რომ პერსონალი მაღალ შეფასებას აძლევენ თითოეული კომპონენტის შესაფასებელად განსზღვრულ დებულებას. ძირითადი მიგენებები და გასაუმჯობესებელი საკითხები დეტალურად აღწერილია **2019-2020 წლის ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის გამოკითხვის შედეგები**ს ანგარიში (დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

სტრუქტურული ერთულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები გაანალიზდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. წარმოდგენილმა ანგარიშმა ცხადყო, რომ თითოული სტრუქტურული ერთეულმა საანაგრიშო პერიდოში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყო ერვისების და მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების განვითარების მიზნით შესაბამისი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. სტრუქტურული ერთეულების შუალედური და წლიური ანაგრიშები.(დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი).

ზემოთ აღწერილი მექანიზმების გამოყენბით მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში გააუმჯობესა **სერვისები და მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული და ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსები.**

უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასება

წინამდებარე ანგარიშის შესავალში აღინიშა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გაამართლოს საკუთარი სტუდენტებისა და პერსონალის მოლოდინები. შესაბამისად, გაზრდილი კონკურენციის კვალდაკვალ, ინსტიტუციის მდგრადობის გაზომვის ერთ-ერთი ინდიკატორი მართვის ეფექტიანობაა, რომელიც მიიღწევა: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების იმპელმენტაციით, თანამშრომელთა საქმიანობის შესრულების ეფექტიანი მენეჯმენტით, სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების მაღალი კმაყოფილების ხარისხით; ინსტიტუციის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობით. უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიმართულებით :

- **ინსტიტცუციური დონე** - ფასდება: რამდენად იქნა მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები, დადგენილი ინდიკატორების, ვადებისა და განსაზღვრული რესურსების შესაბამისად; უნივერისტეტში დანერგილი შიდა ხარისხის მექანიზმების ეფქტიანობა; ეკონომიკური ეფექტურობა და ფინანსური მაჩვენებლები.
- **სტრუქტურული ერთეულების დონე** - ფასდება: თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შედეგები და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ეფქტიანობა;
- **დაინტერესებული პირების დონე** - ფასდება: სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების დონე უნივერსისტეტში არსებული მართვის სტილით, სერვისებითა და სხვადასხვა საკითხებით, რაც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მართვის სისტემის ეფექტიანობაზე.

უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის დადგენილია მექანიზმები, რომლის გამოყენებითაც დგინდება დაცულია, თუ არა დადგენილი პროცედურები და რამდენად ეფექტური და ეფექტიანია დამდგარი შედეგი.

უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის დადგენილი მექანიზმები ფარავს უნივერსიტეტის ეფექტიანი მართვის მისაღწევად ყველა ასპექტსა და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- **უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება;**
- **ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება;**
- **სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი ამოცანებისა და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების მენეჯმენტის შეფასება;**
- **სტუდენტებისა და პერსონალის კამყოფილების შეფასება.**

ხარისხის უზრუველყოფის სამსახურმა შეისწავლა ზემოთ დასახელებული მექანიზმების გამოყნების შედეგები, კერძოდ:

- **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფმა წლის განმავლობაში შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს** - წარმოდგენილი ინფორმაციის განაალიზებით დადასტურდა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობა, ამასთანავე არ გამოვლენილა კონკრეტული ხარვეზები და გამოწვევები მათი განხორციელების პროცესში. ამასთანავე სამოქმედო გეგმის შესრულებული აქტივობები, რომელიც მოქცა საანგარიშო პერიოდში პოზიტიური გავლენა იქონია უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხზე.

- **საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წაუდგინა ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი** - წარმოდგენილი ანალიზით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა და ძირითადი მიმართულებები ეკონომიკურად მომგებიანია, ხოლო ფინანსური მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის შემოსავალი მზარდია და ასევე იდენტიფიცირებულია უნივერისტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯები, და შესაძლო რისკები, რომელიც აისახებ 2021 წლის ბიუჯეტში.

- **სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიშები საკუთარი ამოცანების შესრულების შესახებ, ასევე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა წარმოადგინა პერსონალის სამუშაოს შესრულების შეფასების ანალიზი** - სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშების ანალიზით დასტურდება, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობენ საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად. ასევე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზმა აჩვენა, რომ პერსონალის უმრავლესობა მოტივირებული ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს ჯეროვნად და ეფექტიანად.

- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სანგარიშო პერიოდში ჩაატარა სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა ასპექტებთან მიმართებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მაღალია მათი კმაყოფილების დონე.

- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა შეფასებული იქნა დაინტრესებული მხარეების მიერ (სტუდენტები, აკადემიური, მოწევული და ადმინისტრაციული პერსონალის). ასევე გაანალიზებული იქნა საანგარიშო პერიოდში პროგრამების რეაკრედიტაციის მიზნით განხორციელებული გარე შეფასების შედეგები** - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა საანგარიშო პერიოდში შეაფასა სტუდენტებმა, აკადემიურმა, მოწვეულმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. სტუდენტების გამოკითხვის შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ინტერესდება მათი კმაყოფილების ხარისხით, ასევე, ცხადია, რომ სტუდენტებს აქვთ სრულფასოვანი შესაძლებლობა

თავისუფლად გამოთქვან შენიშვნები საგანმანათლებლო პროცესის ნაკლოვანებებზე, რაც ასევე მიუთითებს ხარისხის მექანიზმების ეფექტიან მუშაობაზე. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მსგავსად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესების პროცესში პერსონალი აქტიურად არის ჩართული. ადმინისტრაციული პერსონალისთვის ცნობილია ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმები და პროცედურები. მათ ეცნობებათ შეფასების შედეგები, თავიანთი კომპეტენციიდან გამომდინარე ჩართულები არიან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების პროცესში

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამების რეაკრედიტაციის მიზნით განხორციელებული გარე შეფასების შედეგად EEU- ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობა ინსტიტუციის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეფასდა.

საანგარიშო პერიდოში მართვის ეფქტიანობის და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპეტქივიდან უნდა აღინიშნოს, რომ გაძლიერდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამოუკიდებლობა და მანდატი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, კერძოდ სტრუქტურული ერთეული მოქმედ სტრუქტურაში წარმოდგენილია, როგორც მმართველი რგოლის სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ რექტორის დაქვემდებარებაშია და ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში ხარისხის მენეჯმენტსა და შეფასებას. სამსახურის მოვალეობებში შედის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარება და კონსოლიდაცია მის ერთეულებთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის პრინციპების, მეთოდების შემუშავება სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში ხარისხის სტანდარტების დადგენა, შეფასება და ზოგადად ხარისხის მართვის სისტემის სრული კოორდინაცია.

უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი კონტრიბუციისა და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შეფასება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გაცხადებული პრიორიტეტია სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობა და უნივერსიტეტის საქმიანობის სანდოობისა და მდგრადობის ერთ-ერთ მნიშვენლოვან ინდიკატორად მიიჩნევს. შესაბამისად ყოველწლიურად, მისი ძირითადი საქმიანობის კვალდაკვალ, ზრდის მხარდაჭერას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების შეთავაზების პროექტების, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერი პროექტების, გარემოზე ზრუნვის და ა.შ. აქტივობების რაოდენობასა და მათი იმპელმენტაციისათვის ფინანსურ რეუსურსებს. უნივერსიტეტი ცდილობს კორპორატიული სოციალური პასუხიმსგებლობის გაძლიერებით პოზიტიური გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე.

მისასალმებელია, რომ აღნიშნულ მიდგომას ასახავს უნივერსიტეტის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა, რომელშიც აღწერილია სოციალური პასუხისმგებლობის არსი, მისი მნიშვნელობა, ძირითადი სფეროები და მიდგომები. კორპორატიული, სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა EEU-ს კორპორატიული კულტურის ნაწილია და მისი მოთხოვნების გაითვალისწინება ხდება უნივერსიტეტის მთელი რიგი გადაწყვეტილების მიღებისას. უნივერსიტეტის სოციალური პასუხიმგებლობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივ სიკეთეებთან წვდომის გაზრდასა, ასევე გარემოს მდგრად განვითარებას. ამავე დროს, პოლიტიკით განსაზღვრული მიდგომები გამოიყენება როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, აგრეთვე ყველა გარე დაინტერესებული პირის მიმართაც.

როგორც უკვე აღინიშნა უნივერსიტეტი ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს სხვა და სხვა ღონისძიებებს კორპორატული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, თუმცა საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტის სოციალური პასუხიმგებლობის პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს, თუ როგორ წარმატებით განხორციელდა 2020 წლის მაისს-ივლისში სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მიმართულ იყო COVID 19 - ის გამო გამოწვეული პანდემიის პერიოდში აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების კანდიდატთა მხარდაჭერაზე. იგი განახორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მხარდაჭერითა და სატელეკომუნიკაციო ოპერატორთან "სილქნეტთან" თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში:

- მთელი საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ 611 აბიტურიენტს, რომლებსაც ჰქონდათ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა და ვერ ახერხებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სრულფასოვან რეჟიმში მომზადებას, დაუფინანსა უწყვეტი ინტერნეტის მიწოდება და უზრუნველყო მათი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება.
- როგორც ზემოაღნიშნულ პირებს, ასევე დამატებით კიდევ 427 აბიტურიენტისა და მაგისტრანტების კანდიდატთათვის (საერთო ჯამში 1038) უსასყიდლოდ ორი თვის განმავლობაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სამ საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა), ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდების ოთხივე კომპონენტში (წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური

წერა, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა) უზრუნველყო გამოცდებისთვის მოსამზადებელი დისტანციური კურსების განხორციელება Microsoft Teams-ის მძლავრი საკომუნიკაციო ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

- სოციალური პროექტში ჩართული სტუდენტებისთვის გამოცხადდა დამატებითი მხარდაჭერა და ყველა აბიტურიენტს, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სწავლის შემთხვევაში სთავაზობს 30%-იან საუნივერსიტეტო დაფინანსებას პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ყველა წელზე.

აღნიშნული სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი წარდგენილი იქნა UN Global Compact Network Georgia-ს კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსზე, Corporate Responsibility Award 2020, კატეგორიაში ხარისხიანი განათლება, სადაც მოხვდა საუკეთესო პროექტებს შორის.

პროექტმა აგრეთვე დიდი მოწონება ჰპოვა თავად პროექტში ჩართულ ახალგაზრდების მხრიდანაც, რასაც აჩვენებს მათი გამოკითხვის შედეგები (დეტალურად იხ. შესაბამისი დანართი „აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგები“) უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსებით კმაყოფილი აბიტურიენტების რიცხვი აღწევდა 93,3%, ხოლო ყოველი კურსი შეფასებული იქნა 10 ბალიან შეფასების სისტემაში არანაკლებ 7 ქულით.

მსოფლიო პანდემიით გამოწვეული სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაწყვეტის გზებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ახალი ტენდეციების გათვალისწინებით, შეთავაზებული სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასში ჩართული ადამინებისათვის, რადგან უახლოეს მომავალში დისტანციური სწავლება კიდევ ურო ფართედ დაინერგება და ამგვარ სისტემასთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება, რომელიც მათ მიიღეს, უზრუნველყოფს უფრო მარტივ ადაპტაციას ახალ ტექნოლოგიებთან, ხოლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესძენს ონლაინ სწავლების მნიშვნელოვან გამოცდილებას. აღნიშნულ პროექტის რელიზებისთვის უნივრსიტეტმა 32 553 ლარი გამოყო.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მირ განალიზებული იქნა მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ანაგარიში უნივრსიტეტის საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შეფასების პერსპექტივიდან, ასევე შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სტუდენტთა ჩარიცხვების, ასევე მობილობით გადასვლის და გადმოსვლის მაჩვენებელი წლების მიხედვით, რომელის სტატისტიკსაც უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

ანგარიშებში წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების ანალიზით, იკვეთება სტუდენტთა ჩარიცხვების შედარებით მზარდი დინამიკა, თუმცა, შედარებით პრობელემატურია ბაკალავრიატის საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. გამომდინარე აქედან მნიშვენოვანია გამოკვლეულ იქნას ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების მცირე რაოდენობის (სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებთან შედარებით) რაოდენობის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები და უნივერსიტეტის ერთიანი მარკეტინული სტრატეგიის ფარგლებში ყურადრება გამახვილდეს ამ სეგმენტის მოსაზიდი მექანიზმების განსაზღვრაზე.

ამასთანავე უნდა აღინიშნო, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობა გაზრდილია, რაც განპირობებულია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საინტერესო და სასარგებლო აქტივობების სიმრავლითა და საოზგადოებასთან ურთიერთობის არხების გაძლიერებითა და გამრავალფეროვნებით.

მომავლის ხედვები და შემაჯამებელი რეკომენდაციები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მომავლის ხედვები

როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია მიღწეული შედეგების განმტკიცებასა და გაუმჯობესებაზე, ინსტიტუციური სარგებლის მოტანაზე და პირდაპირ ეხმიანება უნივერსიტეტის მისწრაფებას მიაღწიოს მდგრად წარმატებას.

გამომდინარე აქედან სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას უნივერსიტეტის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულად და ეფექტურად მიღწევაზე.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო საშუალებების მოძიებასა და მათი განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას.

უმაღლესი განათლების სექტორში არსებული ტენდენციები, მიმდინარე ცვლილებები და რეფორმის კონტექსტი მუდმივად აჩენს რისკს, ინსტიტუციამ სათანადოდ ვერ გაიაზროს უნივერსიტეტის წარმატებაზე მოქმედი ის ფაქტორები, რომელიც მუდმივად ჩნდება, ვითარდება, იზრდება ან იკლებს და ამ ცვლილებების კვალ და კვალ უნივერსიტეტი მუდმივად ფოკუსირებული უნდა იყოს დააკმაყოფილოს სტუდენტებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და მოლოდინები. რაც კიდევ უფრო ზრდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლს ამ პროცესებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის შეფასების უმნიშვნელოვანესი ნაწილია გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. თუმცა, სამსახურის საქმიანობის სარგებელი გამოიხატება არა მხოლოდ რეკომენდაციების გაცემაში, არამედ – მათ შესრულებაში.

ამ ეტაპზე, სამსახური დადებითად აფასებს რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელს. თუმცა დაგეგმილი აქვს მისი კიდევ უფრო მეტად გაზრდა. ამ მხრივ აქტიურად მუშაობს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის განვითარებაზე. ასევე უკუკავშირის მნიშვნელობის შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის საინფრმაციო შეხვედრების დაგეგმვაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს წარმოადგენს კომპეტენტური და მოტივირებული გუნდი. თუმცა, ამ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია მათი სტიმულირება, პროფესიული განვითარება და შენარჩუნება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პრინციპების სრლფასოვნად იმპლემენტაციის თვალსაზრისითი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შეფასების შედეგად განსაზღვრული შემაჯამებელი რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია ინტენსიურად გაგრძელდეს უნივერსიტეტის ცნობადობისა და მიმზიდველობის გარდის მიზნით შემუშავებული მარკეტინგული სტრატეგიების იმპლემენტაცია, ამასთანავე გათვალისიწინებულილ იქნას პანდემიით გამოწვეული ფაქტორები.
2. მიზანშეწონილია არსებული შიდა კომუნიკაციის განვითარების მექანიზმები ისეთივე ინტენსივობით იქნას გამყენებული, როგორც საანაგრიშო პერიოდში. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ორინტირებული უნდა იყვნენ ინფორმაციის დამუშავების და გავრცელების ერთიან მიდგომაზე. სასურველია სტრუქტურულ ერთეულებში შიდა ანგარიშგების კულტურის დანეგვა ყველა სტრუქტურული ერთეულის დონზე.
3. გაგრძელდეს საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირების მექანიზმების განვითარება ეროვნული კანონმდებლობის გარზდილი მოთხოვნებისა და პანდემიით გამოწვეული რისკების გათვალისწინებით. ასევე საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებული პირებისთვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და ინტრენაციონალიზაციის პოლიტიკით დაგეგმილი ამოცანების შესახებ.
4. რეკომენდებულია შესწავლილ იქნას თითოეულ ფაკულტეტზე სტუდნეტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესები, საჭიროებები საერთაშორისო ურთიერთოებებისა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობასთან მიმართებით და კვლევის შედეგებზე დაფუძნებით იქნას შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის ზრდას საერთაშორისო პროექტებში და გაზრდის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელს.
5. გაგრძელდეს სტუდენტების ინფომირება მათი უფლებების, უნივერსიტეტში არსებული მათი მხარდაჭერის სერვისების, ეთიკისა და აკადმიური თავისუფლების პრინციპებისა და ქცევის წესების შესახებ.
6. რეკომენდებულია პალგიატის და მისი თავიდან აცილების შესახებ საინფრომაციო შეხვედრების ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის.
7. რეკომენდებულია პერსონალის შეფასების მექანიზმების განვითარება, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული უკუკავშირის პრიციპის გაძლიერება, ასევე პერსონალის შეფასების სისტემის ეფექტიანობის შეფასება.
8. ინტენსიურად გაგარძელდეს ზრუნვა სტუდენტთა კარიერული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების რაოდენობების და მათი პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდისთვის.
9. მიზანშეწონილია პერსონალის პროფესიული განვითარების მექნიზმების განვითარება, მათი კავშირი გაძლიერება პერსონალის განვითარების საჭროებებთან.
10. ინტენსიურად გაგრძელდეს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების იმპლემენტაცია,ასევე მათ შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა.
11. რეკომენდებულია ტრენინგების ჩატარება პროგრამის განმახოციელებელ პერსონალთან საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების შესახებ.

2019-2020 აკადემიურ წელს განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების დეტალური ანგარიში

2019- 2020 აკადემიური წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამ ეტაპად განხორციელდა ძირითადი და სისტემური რეკომენდაციების განსაზღვრა. რომლის შესრულების მონიტორინგი მოექცა საანგარიშო პერიოდში. კერძოდ:

პირველი ეტაპი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა 2018-2019 წელს გამოყენებული ხარისხის მექანიზმების შედეგები და მასზე დაფუძნებით 2019 წლის სექტემბერში განსაზღვრა რეკომენდაციები, შესაბამის პასუხისმგებლი/ჩართული სტრუტურების/სუბიექტების მითითებით.

მეორე ეტაპი: 2019 წლიდან უნივერსიტეტში დაინერგა ყოველწლიური ანგარიშგების კულტურა. წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზსა და ასევე, გარე შეფასების შედეგებზე დაფუძნებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2020 წლის მარტში უზრუნველყო რეკომენდაციების განსზღვრა.

მესამე ეტაპი: პანდემიის გამო დისტანციურ სწავლების ფორმატზე გადასვლის, დისტანციური სწავლების შეფასების მიზნით სამსახურმა შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მისი იმპლემენტაციისთვის შესაბამისი გამოკითხვის ფორმები. 2020 წლის მაისში ჩატარებულ გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებით სამსახურმა განსაზღვრა შესაბამისი რეკომენდაციები.

2020 წელს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზზე დაფუძნებით განსაზღვრული რეკომენდაციების ასევე, ზემოთ დეკლარირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება **2020-2021** სასწავლო წლის განმავლობაში და მისი შედეგები აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის **2020-2021** წლების ანგარიშში.

რეკომენდაციის დასახელება	შ/მ : სრულად; ნაწილობრივ; არ შერულდა	კომენტარი
1. მიზანშეწონილი გაძლიერდეს პრაქტიკული კომპოენენტი საგანმანათლებლო პროგრამებში, როგორც მოცულობის, ასევე შინაარსის გადახედვისა გზით, ასევე უზრუნველყოფილი იქნას არსებულ დამსაქმებლებთან თანამშორმლობის განვითარება პრაქტიკული კომპონენეტის გაძლიერების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში მოძიებული იქნას ახალი დამსაქმებლები	სრულად	უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამა გადაიხედა და გაიზარდა მათში პრაქტიკული კომპონენტი, არსებულ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პარალალურად მოძიებული იქნა ახალი დამსაქმებლებიც
2. მიზნაშეწონილია გადაიხედოს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: უცხოელი სტუდენტებისათვის გზამკვლევის შემუშავებასა და მისი ხელმისაწვდმობის უზრუნველყოფას; ვიზებისა და უნივერსიტეტში სწავლისათვის საჭირო პროცედურებში დახმარების მექანიზმების ზრდას; ადგილზე განთავსების შესაძლებლობებზე და სამომხმარებლო სერვისების (ტრანსპორტი, კვება, ჯანმრთელობა, გართობა, კულტურა და სხვა) შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; ადგილობრივ საზოგადოებასთან ადაფტაციაში დახმარებას; სამართლებირივ კონსულტირებასა და ადვოკატირებას უნივერსიტეტის იურისტებისგან; უცხოელი სტუდენტების აკადემიური კონსულტანტით უზრუნველყოფას. უცხოელი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი მექანიზმებით უზრუნველყოფას.	სრულად	საანგარიშო წელს გაფორმდა 21 ახალი ხელშეკრულება მომზიდავ კომპანიებსა და კერძო აგენტებთან. უცხოელი სტუდენტების უნივერსიტეტში მოზიდვისა და ჩარიცხვის მიმართულებით, დაგეგმილი იყო სემინარებისა და გამოფენების ორგანიზება, მაგრამ კორონა ვირუსის პანდემიის გამო ვერ მოხერხდა მათი ჩატარება და მოხერხდა მხოლოდ ჩატარდა რამდენიმე ვებინარის ორგანიზება. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის კუთხით, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურმა გააუმჯობესა, უცხოელი სტუდენტების საბუთების მიღებისა და აპლიკანტთა გასაუბრების პროცედურები, რაც დადებათ აისახა ვიზის მიღებისა და საზღვრის კვეთის მაჩვენებელზე.
3. მიზნაშეწონილია უნივერსიტეტში არსებული საერთაშორის ურთიერთოებების დეპარტამენტის გაძლიერებას, რათა უფრო მეტი წარმატებით იქნას უზრუნველყოფილი პოტენციური სტუდენტების მოზიდვის/მარკეტინგის კამპანიის წარმოება; საერთაშორისო ვიზიტების განხორციელება (მონაწილეობა გამოფენებში, პრომო ტურები, ვიზიტები სკოლებში, შეხვედრები აგენტებთან); თანამშრომლობა უცხოელ აგენტებთან და ელექტრონულ პორტალებთან; საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურის კოორდინირება და საქართველოში ჩამოსვლის ფასილიტაციას კულტურული ინტეგრაციის ღონისძიებების ორგანიზება; საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა სწავლის პერიოდში.	სრულად	საერთაშორის ურთიერთობების დეაპარტამენტს დაემტა ერთი თანამშრომელი, ხოლო მიმდინარეობს პერსონალის მოზიდვის პროცესი.

4. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამების სწავლის შედეგები, მათი შემდგომი დახვეწის მიზნით და შემუშვებულ იქნას კურიკულუმის რუკები უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამისათვის	სრულად	გაიდაიხედა ყველა პროგრამი სწავლის შედეგები, ასევე შემუშავებულ იქნა კურიკულუმის რუკები
5. რეკომდირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლის შედეგებთან და კურიკულუმის რუკებთან დაკავშირებით.	სრულად	ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი – ,,აკადემიური პერსონალის როლი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და განვითარებაში''. ტრენინგი მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალისთვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და სტუდენტთა შეფასების სისტემაზე ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის წლიური ანგარიში 36 მსჯელობას. ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობას მედიცინის მიმართულებით. https://eeu.edu.ge/portfolio/21138training/
6. მიზნაშეწონილია სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის განვითარებაში, საერთაშორისო ექსპერტების პარტნიორი უცხოური უნიევრსიტეტების წარმოამდგენლების ჩართვა.	სრულად	მაგალითად, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის უცხოელი აკადემიური პერსონალი, ლინცის უნივერსიტეტის პროფესორი, ასევე, ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში როგორც პროგრამის ერთერთი ხელმძღვანელი ჩართულია ფრესენიუსის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი მიყავს მოწვეულ უცხოელ ლექტორებს: გარდა ამისა, აკადემიური პროგრამების ხარისხის გარე შეფასების ერთერთ მექანიზმად გამოყენებული იქნა საერთაშორისო ექსპერტები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე გარე შეფასებები გააკეთა არდენის უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნული ტიპის აქტივობები ცალსახად უწყობს ხელს როგორც სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, ისე ადგილობრივი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის განვითარებას და საერთაშორსიო ინტეგრაციის გაზრდას.

		ასევე იქნა გამოყენებული იურიდიულ ფაკულტეტზე ეს მექანიზმები და ა მიმდინარეობს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან მიმამრთებით იგივე პროცესები.
7. სასურველია დაიხვეწოს სტუდენტთა შეფასებისას უკუკავშირის მექანიზმები	სრულად	
8. მიზნაშეწონილია უნივერსიტეტმა ყურადღება გააძლიეროს სტუდენტთა პროფესიონალური ქცევისა და ეთიკის განვითარებაზე და შესთავაზოს მათ სხვადასხვა ტრენინგები თუ ღონისძიები, ასევე პლაგიატზე ცნობადობის ამაღლებისთვის მიმართულ სემინარები/ტრენინგები/ღონისძიებები;	ნაწილობრივ	დაიგეგმა ტრენინგი, ასევე, დაიგეგმა ვიდეო-რგოლის ჩაწერა პლაგიატზე. ამჟამად დაგეგმილია ვებინარი აღნიშნულ საკითხზე.
9. მიზანშეწონილია სასწავლო რესურსების განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტენსიური ტრენინგების და კონსულტაციების, შეთავაზება, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან, ასევე შიდა ბაზებთან მუშაობასთან დაკავშირებით, ასვე ელექტრონული სასწავლო ბაზის განვითარება;	ნაწილობრივ	EEU–ში ელექტრონული მართვის პროგრამების განვითარება და ელექტრონული პლატფორმების გაძლიერება დაგეგმილი იყო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით 2019 წლისთვის, რომლის შესაბამის ვადებში დასრულებამ უნივერსიტეტს შესაძლებლობა მისცა მომზადებული შეხვედროდა დისტანციური სწავლების და ინსტიტუციის მართვის ელექტრონულ პლათფორმაზე გადასვლას. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა/დაინერგა EEU-EL, MS TEAMS, ELMA ელექტრონული პლატფორმები.დარჩენილია მხოლოდ საერთაშორისო საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ტრენინგი, რომელიც უკვე დაწყებულია და ჩატარდა სტუდენტებისთვის და გაგრძელდება ინტენსიურად და მოიცავს ყველა სამიზნე ჯგუფს.
10.მიზანშეწონილია სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურობის ზრდა, რომელიც უნდა ითავლისწინებდეს მაგ: სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდაჭერა, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს, სტუდენტების მენტალური მხარდაჭერის შესაძლებლობებს და სხვ.	სრულად	2019 წელს შემუშავდა ,,სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი'', რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს (მათ შორის სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის). 2019-20 სასწავლო წელს ამ მიმართულებით უკვე გიახრჯა 32250 ლარი. ასევე, აღსანიშნავია, ,,სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინასების წესი'', რომელიც სტუდენტებს უქმნის შესაძლებლობას მიიღონ დაფინანსება 5000 ლარის ოდენობით სამეცნიერო/კულტურული/სპორტული პროექტებისთვის.
11.მიზანშწონილია გაძლიერედეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი	სრულად	

მექანიზმები, გამოიკვეთოს მათი კველვითი პოტენციალის გათვალისწინებით კვლევითი საქმიანობის მიმართულებები		
12.მიზანშეწონილია დაზუსტდეს მისია და ხედვა და განსაზღვრულ იქნას უნივერსიტეტის ღირებულებები	სრულად	
13..მიზანშეწონილია გადაიხედოს უნივერსიტეტის პეროსნალის მართვის პოლიტიკა და განვითარდეს პერსონალის შეფასების მექანიზმები.	სრულად	
14. მიზანშეწონილია შემუშავებული იქნას ბრენდინგის გასაძლიერებლად შესაბამისი სტრატეგიები და მიდგომები.	ნაწილობრივ	მიმდინარეობს მუშაობა
15.უნივერსიტეტის შემდგომი ინსტიტუციური და კორპორატიული განვითარების მიზნით, ასევე ხარისხის კულტურის თანმიმდევრულად დანრეგვის მიზნით, მიზნაშეწონილია უზრუნველყოფილი იქნას უნივერსიტეტის არესებული სტრუქტურის და სტრქუტურული ერთეულების ანალიზი და მის შედეგებზე დაფუძნებით განხორციელდეს შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები.	სრულად	
16.რეკომენდებულია უნივერისტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებული იყოს შემდეგი კომპონენტები: კოლეგიური ორგანოების როლის გაძლიერება, მათი არჩევითობა და სტუდენტების და აკადემიური პერსონალის წარმოამდგენლობის გაზრდა	სრულად	ფაკულტეტეტბზე შეიქმნა ფაკულტეტის საბჭოები, რომელიც დაკომპლეტქებულია სტუდენტებითა და აკადემიური პერსონალით, ხოლო წარმოამდგენლობითი საბჭოს ფუნქციები და დაკომპლექტების წესი სრულად გადაიხედა და განახლდა, წარმომადგენლობითი საბჭო, არა მხოლოდ განიხილავს უნივერისტეტის ძირითად დოკუმენტებს, ფაკულტეტის როლის გაძლიერება ინსტიტუციურად და ფუნქციურად- განახლდა ფაკულტეტის ფუნქციები, ფაკულტეტზე საფაკულტეტო კოლეგიური ორგანოს (საბჭოს) არსებობით გაძლიერდა მისი დამოუკიდებლობა, ასევე ფაკულტეტს გაეზარდა ფუქციების შესაბამისად ავტონომიურობა.
17.რეკომენდებულია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენის დამოუკიდებელ სტრუტურად ჩამოყალიბება	სრულად	სტრუქტურის განახლებულ რედაქციაში ეს დეპარტამენტი არის დამოუკიდებელი სახით წარმოდგენილი.
18.რეკომენდებულია სტუდენტური სერვისების განმახორციელებელი გუნდის ზრდა	სრულად	
19.კანცელარია ჩამოყალიბდეს საქმისწარმოების დეპარტამენტის სახით და მასში შევიდეს არქივის ფუნქციები-	სრულად	

20. უნივერისტეტის ცდნობადობის გზარდის მიზნით გაძლიერდეს მარკეტინგული მიდგომები და გაიზარდოს მხარდაჭერა მარკეტინგის მიმართულებით კომპეტენტური პირების მოზიდვის	ნაწილობრივ	სტრუქტურაში ჩამოყალიბდა სამსახურის რომელსაც ეწოდა მარკეტინგისა და საზოაგდოებასთან ურთიერთობის სამსახური, ამის გარდა, უნივერისტეტმა აუთორსინგის ფომით აიყვანა მარკეტოლოგების ჯგუფი რომელიც მუშაობს უნივერისტეტის ბრენდირირების მიმართუელბით ამჟამად მიმდიანრეობს ვებგვერდის სრული გადაწყობა და განახლება
21. რეკომენდებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუტრის და მართვის სისტემების განვითარება-	სრულად	დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა ინფორმაციული ტქნოლოგიების მართვის დეპარტამენტი, მოზიდული იქნა ამ მიმართყლებით კომპეტენტური პერსონალი, ასევე უნივერისტეტმა შიძინა ლიზენცირებული მაკრსოფტის პროგრა და თიმსი გაუმჯობესა ინტერნეტის მოწოდების სიმძლავრე, ასევე სერვერების. უნივერსიტეტის განახლებულ სტრუტურაში შეიქმნა ვიცე რექტორის პოზიცია, რომელიკც მოიცავს ფინანსურ და ინფორმაციულ ტექნოლოგიების საკურატორო სფეროებს.
22.რეკომენდებულია შიდა კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება	სრულად	ამ მიმართულები დაიგეგმა და განხოციელდა სხვადასხვა ღონისძიებები სადაც სრქუტურლ ერთეულებს გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მისი თანიმიდევრული იმლემენტაციის მნიშვენელობა.
23.რეკომენდებულია სტრუტურული ერთეულბის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობის გადახედვა და დახვეწა		განახლდა ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება და ასევე სამუშაო აღწერილობები.
24.რეკომენდებულია სტუდენტებთან დაკავშირება (აუცილებელია შერჩეული იქნას ის მეთოდი, რომლითაც დაიფარება თითოეული სტუდენტი), რათა მოხდეს იმ სტუდენტთა იდენტიფიცირება, რომელთაც დამატებითი დახმარება (რაც შესაძლოა, მოიცავდეს ტექნიკურ დახმარებას თუ საინფორმაციო კონსულტაციას) ესაჭიროება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს მყისიერ გადაწყვეტას	სრულად	
25.სტუდენტებს, რომელთაც ვერ მოახერხეს ობიექტური, ტექნიკური პრობლემების არსებობის გამო სემინარების ჩაბარება, ინდივიდუალური დამხარება შეიძლება გაეწიოთ.	სრულად	
26.გადაიხედოს სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების კომპონენტის განხორციელებისას დაიყოს სტუდენტთა ჯგუფები.	სრულად	
27.ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებისთვის, ან/და დაიგზავნოს საინფორმაციო	სრულად	

წერილი, შეფასების კომპონენტებისა და გამოცდების განხორციელების შესახებ.		
28. რეკომენდებულია გაიმართოს ონლაინ შეხვედრა პროფესორ-მასწავლებლებთან, მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და დაიგეგმოს საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი სტუდენტების შეფასების მეთოდების შესახებ.	ნაწილობრივ	დაგეგმილია ტრენინგის ჩატარება

დანართები

წინამდებარე ანგარიშში მოხსენიებული დანართები თან ახლავს დოკუმენტს.